# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება № 14-40

„24“ მაისი 2016 წ

ქ. თბილისი

**„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

შეტანილი იქნას ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 06/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016099):

ა) დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართს დაემატოს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების რუკა, თანდართული სახით;

ბ) დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი - რუკა (ფუნქციური ზონები) ჩამოყალიბდეს თანდართული სახით (თან ერთვის ცვლილების საინფორმაციო მასალა).

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

# ფუნქციური ზონები



ცვლილებების საინფორმაციო მასალა





არსებული ფუნქციური ზონის კონტური



კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტური

- სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)(არსებული ზონა)
- სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)(არსებული ზონა)
- საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)(არსებული ზონა)
- სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1)(კორექტირებული ზონა)

**1. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის VI მიკრორაიონში, #7-ე კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.11.10.008.122),, (4519 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 1,სარეკრეაციო ზონა 2, საცხოვრებელი ზონა 6-სა და სპეციალური ზონა 1–ს შორის.**

სარეკრეაციო ზონა 1,სარეკრეაციო ზონა 2, საცხოვრებელი ზონა 6 იცვლება სპეციალური ზონა 1–ით, ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2016 წლის ოქმი #16), მოქ.: ლ. მერაბიშვილი. **AR1392078.**



არსებული ფუნქციური ზონის კონტური



კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტური

სამრეწველო ზონა 1 (ტ ზ-1) (არსებული ზონა)

სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) (არსებული ზონა)

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (ტ ზ-2) (კორექტირებული ზონა)

**2. ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ა. წერეთლის გამზირის #118-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.13.05.002.001), (27828 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური სამრეწველო ზონა 1, სპეციალური ზონა 1-სა და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 –ს შორის.**

სამრეწველო ზონა 1 და სპეციალური ზონა 1 იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2–ით. ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2016 წლის ოქმი #9), მოქ.: ა. ტყემალაძე. **AR1380997.**

# დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა

